

# სტუდენტის გზამკვლევი

სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

2017 – 2018 სასწავლო წელი

ტერმინების განმარტება:

**ბაკალავრიატი** არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

**მაგისტრატურა** არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

**მოზილობა** - სტუდენტთა გადასვლა ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში, რასაც თან სდევს კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების აღიარება

**შიდამოზილობა** - სტუდენტის მიერ ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორეზე გადასვლა ერთი უმაღლესი სასწავლებლის შიგნით, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების აღიარება.

**„კრედიტი“** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში-საათებში.

**სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება:**

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მაგისტრატურის სწავლების საფეხურზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია საერთო სამაგისტრო, ხოლო ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე - ერთიანი ეროვნული გამოცდების, ქართულ ენაში

მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე - ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი ან აფხაზურენოვანი ტესტების, ხოლო პროფესიულ პროგრამაზე - ერთიანი პროფესიული ტესტირების ჩაბარება.

სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ამ უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი **დოკუმენტაცია**:

1. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი (დედნის წარმოდგენით);
3. 2 ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4, ელექტრონული ვერსია CD-ზე;
4. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);
5. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. არასრულწლოვანი სტუდენტობის კანდიდატის ნაცვლად სასწავლო უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი არის მისი მშობელი, სტუდენტობის კანდიდატის დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლისა და მშობლის პირადობის მოწმობის ასლის წარმოდგენის შემთხვევაში.

#### **სტუდენტის უფლება-მოვალეობები:**

სტუდენტის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება „სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულების“ წესით

#### **სტუდენტის დატვირთვა და სემესტრები**

ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტი სწავლობს რვა სემესტრის განმავლობაში და მისი დატვირთვა ამ პერიოდის განმავლობაში შეადგენს 240 კრედიტს (ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად აუცილებელია 240 კრედიტის მოპოვება).

სტუდენტის ერთი აკადემიური წლის (38-45 სასწავლო კვირა) დატვირთვა მოიცავს 60 კრედიტს. დასაშვებია სტუდენტის დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

სასწავლო უნივერსიტეტი ძირითად (major) სპეციალობასთან ერთად სტუდენტს სთავაზობს შესაძლებლობას, აირჩიოს დამატებითი (minor) სპეციალობა, დააგროვოს თავისუფალი კრედიტები.

თუ სტუდენტი ბაკალავრიატისთვის განკუთვნილი სასწავლო პერიოდის (8 სემესტრის) განმავლობაში ვერ დააგროვებს კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო კრედიტების (240) ოდენობას, ის ხდება **დამატებითი სემესტრის სტუდენტი**. მას შეუძლია თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა.

#### რეგისტრაცია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხულმა სტუდენტმა უნდა გაიაროს ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაცია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში.

ადმინისტრაციული რეგისტრაცია არის სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა. ადმინისტრაციული რეგისტრაცია აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას წარმოადგენს.

აკადემიური რეგისტრაცია არის სასწავლო კურსებზე დარეგისტრირება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.

#### სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელად სტუდენტს თავისი პროფილის პაროლი ენიჭება.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტმა შესაძლოა მიიღოს შემდეგი სახის მომსახურება:

განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება;  
ნახოს სასწავლო ბარათი, მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები, გაეცნოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, აუცილებელი და თავისუფალი საგნებისა და კრედიტების ჩამონათვალს, გაეცნოს სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, აწარმოოს მიმოწერა ფაკულტეტთან, სასწავლო კურსების ხელმძღვანელებთან, საგამოცდო ცენტრთან.

სისტემაში შესასვლელად გადაადით ბმულზე: [www.lms.zssu.ge](http://www.lms.zssu.ge)

### **სწავლის საფასური:**

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს.

სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს სწავლის საფასური შეუძლიათ გადაიხადონ ეტაპობრივად (2,4,6 და 8 ეტაპად)

დამატებითი სემესტრის სტუდენტებისთვის ერთი კრედიტის ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით დეკანატის წარდგინების საფუძველზე წლიური გადასახადის შესაბამისად.

სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია შემდეგ ანგარიშზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი : TRESGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: 709087289

სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ

იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.

სწავლის საფასურთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ საფინანსო სამსახურს (მეორე სართული, ოთახი #212, ტელ. 595097206)

### **მობილობა/შიდამობილობა:**

საქართველოს სხვადასხვა ავტორიზებული უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

მობილობისა (ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლა) და სასწავლო უნივერსიტეტის შიგნით შიდა მობილობის (ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა) წესით სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება **სწავლების მეორე წლიდან წელიწადში 2-ჯერ**, შესაბამისი სასწავლო წლის 1 ოქტომბრამდე ან 1 მარტამდე საგაზაფხულო სემესტრის დაწყებამდე .

მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

მობილობას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

### **მობილობის განხორციელებისათვის საჭიროა:**

- **სტუდენტი დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე [www.students.ege.ge](http://www.students.ege.ge)**
- გააკეთოს ელ-განაცხადი მობილობაზე: დააფიქსიროს არჩევანი (უსდ, პროგრამა) და დაალაგოს იგი პრიორიტეტებადგადაიხადოს მობილობის საფასური (40 ლარი) სს „საქართველოს ბანკში“.
- გადაიხადოს მობილობის საფასური (40 ლარი) სს საქართველოს ბანკში
- გაეცნოს მობილობის შედეგებს ელ - პორტალზე პირად სარეგისტრაციო ფანჯარაში
- დადებითი პასუხის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს წერილობითი განცხადებით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს და წარუდგინოს პირადი საქმის ასლები დადგენილ ვადებში
- გაეცნოს მიერ აღიარებულ კრედიტების რაოდენობას და დადგენილ ვადებში წერილობითი განცხადებით დაადასტუროს თანხმობა/უარი

## მობილობის განსახორციელებლად აუცილებელია შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);-ვაჭებისთვის
- სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის ასლი, დამოწმებული უსდ ბეჭდით;
- სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული უსდ ბეჭდით);
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დაფინანსებული სტუდენტების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი.
- პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: [www.eqe.ge](http://www.eqe.ge)

ან მოგვმართეთ: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მეორე სართული

591324242; 568855661

### **შიდამობილობა**

შიდა მობილობის უფლება აქვს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს (მათ შორის სტატუსშეჩერებულ სტუდენტსაც). მას აქვს საშუალება შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება ეზღუდება პირველი სემესტრის სტუდენტს.

შიდა მობილობა წელიწადში ორჯერ ცხადდება სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში.

### **სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების აღიარება**

მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი პირის სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების (სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის/სასწავლო ბარათის საფუძველზე) თავსებადობის დადგენით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც სწავლის გაგრძელების სურვილი აქვს სტუდენტს, რაც

დადასტურებული უნდა იყოს პროგრამის ხელმძღვანელის დასკვნით (რომელშიც მიეთითება აღიარებული კრედიტების რაოდენობა).

თუ ერთი და იგივე სასწავლო კურსი (სასწავლო უნივერსიტეტში და იმ უსდ-ში, საიდანაც გადმოდის სტუდენტი) სხვადასხვა კრედიტებით იქნება წარმოდგენილი, ასეთ შემთხვევაში აღიარებული კრედიტების ოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამის შესაბამისად.

მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი პირისთვის თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით.

თუ მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად.

### **მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში**

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაძლებელია შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება სასწავლო უნივერსიტეტის ალტერნატიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან სტუდენტს გონივრულ ვადაში მიეწოდება ინფორმაცია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ალტერნატიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებთანაც სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები, რათა სტუდენტის მიერ მობილობის პროცესი განხორციელდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ პერიოდში შეუფერხებლად.

### **კრედიტების დათვლისა და მინიჭების წესი**

ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 საათის განმავლობაში. კრედიტის დათვლისას მხედველობაში მიიღება, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, ხოლო მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად - 120 კრედიტი.

სტუდენტის ერთი აკადემიური წლის დატვირთვა მოიცავს 60 კრედიტს. დასაშვებია სტუდენტის დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

## **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება**

### **1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:**

ა)შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ)პირადი განცხადება ;

გ)სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან ხუთწლიანი ვადის ამოწურვა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

ე)შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებითა“ და „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული შემთხვევები;

ვ)საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა:კრედიტების მიღებისათვის ერთი და იმავე დისციპლინის ორჯერ მოსმენის შემდეგაც F შეფასების მიღება;

ზ)სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა.

**2.სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

**3.სტატუსის შეწყვეტის კანდიდატს აქვს მობილობის უფლება სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან თორმეტი თვის განმავლობაში.**

### **2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

#### **1.სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:**

ა)აკადემიური შვებულება;

ბ)ავადმყოფობა;

გ)უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტიდან წასული სტუდენტისა);  
დ)ფინანსური დავალიანება;  
ე)სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;  
ვ)პირადი განცხადება.  
ზ)ადმინისტრაციული (ფინანსური) და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა.

2.პირი, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში

### **შეფასების სისტემა:**

სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ **საბოლოო შეფასებას**.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს **დასკვნით და** მინიმუმ ერთ **შუალედურ** შეფასებას.

შეფასების თითოეული ფორმა (დასკვნითი და შუალედური) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებსა და მეთოდებს, რომელსაც სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ირჩევს ინდივიდუალურად.

შეფასების კომპონენტების რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია თითოეული კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სემესტრის დასაწყისში.

შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით სასწავლო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა შეადგენს მინიმუმ 21 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა (21 ქულა) და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის (30 ქულა) გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა;

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა

ბ.ბ)(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ)(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

შუალედური და დასკვნითი გამოცდები სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება წერილობითი ფორმით სასწავლო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით ამავე ცენტრის დებულების შესაბამისად.

კურსის ხელმძღვანელები ინდივიდუალურად ადგენენ შეფასების კრიტერიუმებს პროგრამისა და სალექციო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სტუდენტი გამოცდაზე დამატებით დაიშვება მიმდინარე სემესტრის სასესიო პერიოდში, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადებში (დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები);

თუ სტუდენტს დავალიანება აქვს იმ საგანში, რომელიც მომდევნო სემესტრში გასავლელი საგნის წინაპირობას წარმოადგენს, მას არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა აღნიშნული საგნის კრედიტების მოსაპოვებლად განხორციელებულ სასწავლო პროცესში.

**შეფასების სისტემის ცხრილი:**

ქულების განაწილების სქემა

ECTS შეფასება	შეფასების 100 ქულის	შეფასების აღწერა
A	91_100	ფრიადი. სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი

<b>B</b>	81 –90	ძალიან კარგი. სასწავლო კურსის ყველა კომპონენტების მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით) სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.
<b>C</b>	71 _ 80	კარგი. სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.
<b>D</b>	61 _ 70	დამაკმაყოფილებელი. სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას.
<b>E</b>	51 _ 60	საკმარისი. სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში .დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობებს
<b>FX</b>	41 _ 50	ვერ ჩააბარა. სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის საკითხების შესახებ.
<b>F</b>	0 _ 40	ჩაიჭრა. მიუხედავად გამოცდაზე დაშვებისა (დაგროვილი აქვს 31 ქულა) სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო პროგრამა.

### აკადემიური ხარისხის მინიჭება

საგანმანათლებლო პროგრამის სათანადო საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური ხარისხი და გაიცემა შესაბამისი დიპლომი და დანართი.

პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა/ცნობა.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ გაიცემა პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ დარეკოთ: 591324242, 568855661